შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" აცხადებს კონკურსს შემდეგ პოზიციაზე: საწარმოო რესურსების დაგეგმარების ექსპერტი

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (UWSCG) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიაა, რომელსაც მართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. კომპანიას საქართველოში გააჩნია 10 რეგიონული ფილიალი და 50 სერვის ცენტრი. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) მიიღო სესხი ურბანული მომსახურეებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მე-2 ტრანშის დაფინანსებისათვის. კომპანია გეგმავს, რომ ამ სესხის ნაწილი გამოიყენოს საწარმოო რესურსების დაგეგმარების (ERP) კომპიუტერული პროგრამის დანერგვის საკონსულტაციო მომსახურებების ანაზღაურებისათვის.

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" აცხადებს კონკურსს შემდეგ პოზიციაზე: საწარმოო რესურსების დაგეგმარების ექსპერტი.

დავალების მიზანი და ამოცანა:

პროექტის ფარგლებში შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას" სურს, დანერგოს საწარმოო რესურსების მართვის კომპიუტერული პროგრამა.

ამ ეტაპზე კომპანია იყენებს ოთხ სხვადასხვა სისტემას, რაც მოიცავს შემდეგს:

1. ფინანსები / ადამიანური რესურსები (საბუღალტრო აღრიცხვა, ბიუჯეტირება, ინვენტარიზაცია, ძირითადი საშუალების აღრიცხვა, შესყიდვა, ტრანსპორტი, ადამიანური რესურსები, ა.შ.) - FMG - საქართველოს ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანიის პროდუქტი (140 მომხმარებელი);

2. ბილინგი, ინციდენტების მართვა, call center, მობილური აპლიკაცია, KPI, წყლის ხარისხის მართვა - შიდა რესურსებით შექმნილი კომპიუტერული პროგრამა (815 მომხმარებელი);

3. დოკუმენტბრუნვა - "eDocument" რომელსაც საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციები იყენებს (755 მომხმარებელი);

4. აქტივების მართვა - GIS (10-15 მომხმარებელი).

საწარმოო რესურსების დაგეგმარების (ERP) კომპიუტერული პროგრამის დანერგვით კომპანია გეგმავს, რომ მიაღწიოს საშუალო ვადიან შედეგს: ფინანსები / ადამიანური რესურსები (საბუღალტრო აღრიცხვა, ბიუჯეტირება, ინვენტარიზაცია, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა, შესყიდვა, ტრანსპორტი, ადამიანური რესურსები, ა.შ.), ბილინგი, ინციდენტების მართვა, call center და პროექტის მართვა გაერთიანდება ერთ სისტემაში (მოსალოდნელია 2020 წლის მარტში); გრძელვადიანი შედეგი: დოკუმენტბრუნვისა და აქტივების მართვის ინტეგრაცია ზემოხსენებულ კომბინირებულ ახალ კომპიუტერულ პროგრამასთან (მოსალოდნელია 2021 წლის მარტში).

საკონსულტაციო მომსახურებების მოცულობა:

კონსულტანტი უზრუნველყოფს ტექნიკურ და ანალიტიკურ მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის არსებულ პერსონალთან ერთად გამოიკვლევს კლიენტის მიმდინარე საჭიროებებს საწარმოო რესურსების დაგეგმარების კომპიუტერული პროგრამის დანერგვის შესაბამისად, მათ შორის, გამოიკვლევს კომპიუტერულ ტექნიკას, პროგრამას, ქსელს და დაეხმარება ახალი კომპიუტერული პროგრამის კომპონენტების მომზადებაში. მას უნდა ჰქონდეს ფართო გამოცდილება, როგორც ERP სისტემის ექსპერტს; უნდა იცნობდეს კომპიუტერული პროგრამის შექმნასთან დაკავშირებულ პრობლემებს; ჰქონდეს ძლიერი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

კონსულტანტის დავალებები მოიცავს არა მხოლოდ შემდეგს: ERP კომპიუტერული პროგრამის საბაზრო კვლევა;

დეტალური დავალებები და/ან მოსალოდნელი შედეგი:

სხვა კონსულტანტებთან და განვითარების პარტნიორებთან ერთად თანამშრომლობით კონსულტანტი უზრუნველყოფს შემდეგს:

** დავალება: ERP კომპიუტერული პროგრამის საბაზრო კვლევის ჩატარება:

** კომპანიაში დანერგვის ამჟამინდელი ფონის შეფასება;

** ERP დანერგვის მოცულობის გამოვლენა;

** აპლიკაციების არსებულ კომპლექტთან ინტეგრაციის წერტილების გამოვლენა;

** არსებული კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამისა და ქსელის კვლევა;

** საბაზრო კვლევის ჩატარება კომპანიის საჭიროებების მიხედვით;

** ERP ამწყობის შედეგების კვლევა.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბოლო 8 წლის განმავლობაში კონსულტანტს უნდა ჰქონდეს დასაბუთებული სამუშაო გამოცდილება, როგორც ექსპერტს, სულ მცირე 2 ERP პროექტში. რეგიონული გამოცდილება წყლის სექტორში ძლიერი დადებითი მხარეა. ინგლისური ენის სამუშაო დონეზე ცოდნა აუცილებელია. მიზანშეწონილია ADB-თან მუშაობის გამოცდილება.

სავარაუდო ხანგრძლივობა: კონტრაქტის საერთო ხანგრძლივობა იქნება დაახლოებით 4 თვე.

სავარაუდო დრო: 25 კაცი/დღე საველედ (საქართველოში).

კონსულტანტის მთლიანი ანაზღაურება შეადგენს მაქსიმუმ 34 400 აშშ დოლარს.

დაინტერესებულმა პირებმა 2019 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით გამოაგზავნეთ რეზიუმე (CV) შემდეგ მისამართზე konkursi@water.gov.ge და გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ პოზიციის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

გისურვებთ წარმატებას!